# ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება №01/13

ქ. თბილისი 1 თებერვალი 2013 წელი

ერთის მხრივ, **სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია"** (შემდგომში "მზღვეველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის – ნიკოლოზ რამიშვილის სახით,

და

მეორეს მხრივ, **შპს "სარაგბო კლუბი ბათუმი"** (შემდგომში "დამზღვევი") წარმოდგენილი მისი დირექტორის –თამაზ ფხაკაძის სახით,

შემდგომში ორივე მხარე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები",

"მხარეები" მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგ სახელშეკრულებო პირობებზე:

## 1. ტერმინთა განმარტება

1.1. **„მზღვეველი"** – სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი სს "არქიმედეს გლობალ ჯორჯია", რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და "დამზღვევთან" დებს წინამდებარე ხელშეკრულებას.

1.2. **„დამზღვევი"** – პირი, რომელიც დებს წინამდებარე ხელშეკრულებას "მზღვეველთან" და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

1.3. **„დაზღვეული" (მოსარგებლე)** – "დამზღვევთან" შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი (ან/და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრი), რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა და რომელიც ამ ხელშეკრულების საფუძველზე იღებს "სადაზღვევო ანაზღაურებას";

1.4. **"თანამშრომლები"** - "დამზღვევთან" შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან დანართი №1-ში;

1.5. **"თანამშრომელთა" ოჯახის წევრები** – "თანამშრომლის" მეუღლე და შვილები 18 წლამდე, მშობლები, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან დანართი №1-ში;

1.6. **"სადაზღვევო ლიმიტი"** – სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე – "მზღვეველის" პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი;

1.7. **"სადაზღვევო ბარათი"** – სადაზღვევო პოლისი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს "დამზღვევის" ("დაზღვეულის") უფლებას "სადაზღვევო ანაზღაურებაზე";

1.8. **„სადაზღვევო ანაზღაურება"** – თანხა ან მომსახურება, რომელიც "მზღვეველისაგან" ეკუთვნის "დამზღვევს" ("დაზღვეულს") "სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას";

1.9. **„სადაზღვევო პრემია"** – თანხა (დაზღვევის ღირებულება), რომელიც უნდა გადაუხადოს "დამზღვევმა" "მზღვეველს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურად.

1.10. **„სადაზღვევო შემთხვევა"** – ფაქტობრივად დამდგარი შემთხვევა, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულება "მზღვეველის" მიერ "დამზღვევის" ("დაზღვეულის") მიმართ "სადაზღვევო ანაზღაურების" გადახდას ითვალისწინებს;

1.11. **"დაზღვევის პირობები"** – "მზღვეველის" მიერ შემუშავებული ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.12. **"უბედური შემთხვევა"** – უეცარი, მოულოდნელი მოვლენა, რომელიც მოხდა "დაზღვეულის" ნებისგან დამოუკიდებლად, გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად და გამოიწვია "დაზღვეულის" შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა, ან სიკვდილი,

1.13. **„ფორს-მაჟორი"** – სტიქიური მოვლენა, გაფიცვა, ლოკაუტი, ტერორისტული აქტი, დივერსია, საბოტაჟი, საომარი/ საბრძოლო მოქმედება, სამოქალაქო მღელვარება, რევოლუცია, ეპიდემია, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია, რეკვიზიცია და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც "მხარ(ეებ)ის" კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით "მზღვეველი" უზრუნველყოფს "დამზღვევთან" შრომით ურთიერთობაში მყოფი პირებისა და მათი ოჯახის წევრების (რომელთა სია მოცემულია დანართ №1-ში) ჯანმრთელობის დაზღვევას, "მზღვეველის" ჯანმრთელობის დაზღვევის პირობების მიხედვით (დანართი №2).

2.2. წინამდებარე ხელშეკრულებას დანართების სახით თან ერთვის "დაზღვეულთა" სია და "მზღვეველის" ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები ("დაზღვევის პირობები"), რომლებიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულებისა და "დაზღვევის პირობების" საფუძველზე "დაზღვეულებისათვის" გაიცემა შესაბამისი "სადაზღვევო ბარათები". წინამდებარე ხელშეკრულება, "დაზღვევის პირობებთან" და "სადაზღვევო ბარათებთან" ერთად შეადგენს ერთ მთლიან შეთანხმებას "მხარეებს" შორის.

2.4. "მხარეები" აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უკლებლივ ყველა პირობას.

## 3. დაზღვევის პერიოდი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება 1 (ერთი) წლით.

3.2. დაზღვევა მოქმედებს 2013 წლის 1 თებერვლიდან 2014 წლის 1 იანვრამდე. (აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მხარეები თანხმდებიან, რომ დაზღვევა შეჩერდება 1 მაისიდან 1 ივლისამდე, შესაბამისად აღნიშნული თვეების სადაზღვევო პრემია არ ექვემდებარება გადახდას).

3.3.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, თითოეული "სადაზღვევო ბარათი" გაიცემა ამავე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის დასრულებამდე ვადით.

## 4. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის "დამზღვევი" "მზღვეველს" უხდის შესაბამის "სადაზღვევო პრემიას".

4.2. სადაზღვევო პრემიის გადახდა მოხდება ყოველთვიურად წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №3-ით გათვალისწინებული გაანგარიშების მიხედვით. პირველი თვის გადასახადს "დამზღვევი" "მზღვეველს" უხდის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო სადაზღვევო პრემიის დანარჩენ ნაწილებს დამზღვევი გადაიხდის ყოველი მომდევნო საანგარიშო თვის დაწყებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. "დამზღვევის" მიერ გადასახდელი წლიური "სადაზღვევო პრემიის" სიდიდე დაანგარიშდება დანართი №3 – ში, დანართი №2 – ში წარმოდგენილი პირობებისა და დანართი №1-ით გათვალისწინებული "დაზღვეულთა რაოდენობის შესაბამისად, ამასთან "სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდის პასუხისმგებლობა ეკისრება "დამზღვევს". "დამზღვევი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეიტანოს ცვლილება დაზღვეულ პირთა სიაში". ყოველი ასეთი ცვლილება ფორმდება დანართის სახით.

4.4. "დამზღვევი" ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №3 ით განსაზღვრული გაანგარიშების მიხედვით და ამავე მუხლით დადგენილი ოდენობით ინვოისის წარდგენის საფუძველზე;

4.5. "სადაზღვევო პრემიის" გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეროვნულ ვალუტაში;

4.6. "სადაზღვევო პრემიის" (ან განვადების შემთხვევაში საპრემიო თანხის პირველი შენატანის) გადახდამდე "მზღვეველი" თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

4.7. დადგენილ ვადაში "სადაზღვევო პრემიის" გადაუხდელობის შემთხვევაში "მზღვეველი" უგზავნის "დამზღვევს" წერილობით შეტყობინებას ორკვირიანი ვადის მითითებით;

4.8. შეტყობინების გაგზავნიდან ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ, თუ შესაბამისი "სადაზღვევო პრემია" არ იქნება გადახდილი, "მზღვეველი" თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან.

4.9. "დამზღვევის" მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, "დამზღვევი" ვალდებულია გადაუხადოს "მზღვეველს" შესაბამისი წლიური "სადაზღვევო პრემია" სრულად;

4.10. "სადაზღვევო შემთხვევის" დადგომისას, "მზღვეველის" მიერ "სადაზღვევო ანაზღაურების" გადახდა ხორციელდება "დაზღვევის პირობებისა" და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. "მზღვეველი" უფლებამოსილია:

- 5.1.1. მოსთხოვოს "დამზღვევს" წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
- 5.1.2. მოსთხოვოს "დამზღვევს", გადაიხადოს "სადაზღვევო პრემია" წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;
- 5.1.3. მოსთხოვოს "დამზღვევს" დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო ინ-ფორმაციის წარდგენა "მზღვეველსა" და "დამზღვევს" შორის შეთანხმებული ფორმით;
- 5.1.4. არ აანაზღაუროს ის ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული "დაზღვევის პირობებით";
- 5.1.5. არ აანაზღაუროს "სადაზღვევო შემთხვევა", თუ "დამზღვევი" არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული "სადაზღვევო პრემიის" გადახდის წესსა და პირობებს;
- 5.1.6. არ აანაზღაუროს "სადაზღვევო შემთხვევა", თუ "დამზღვევმა"ან/და "დაზღვეულმა" გააფორმა ორმაგი დაზღვევა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით;
- 5.1.7. არ აანაზღაუროს "უბედური შემთხვევის" შედეგად დამდგარი "სადაზღვევო შემთხვევა", თუ "დაზღვეული" ("დაზღვეულის" წარმომადგენელი), ან "დამზღვევი" წინასწარ, შეგნებულად უარს განაცხადებს იმ იურიდიული, ან ფიზიკური პირის მხრიდან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნაზე, რომელთა ქმედებამაც გამოიწვია "დაზღვეულის" შრომისუნარიანობის დროებითი, ან მუდმივი დაკარგვა, ან სიკვდილი;
- 5.1.8. მოახდინოს დაზღვეულთა იდენტიფიცირება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან.

5.2. "მზღვეველი" ვალდებულია:

- 5.2.1. განახორციელოს დაზღვევა "დაზღვევის პირობების" შესაბამისად;
- 5.2.2. თითოეულ "დაზღვეულზე" გასცეს შესაბამისი დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი – "სადაზღვევო ბარათი";
- 5.2.3. გაუწიოს „დამზღვევს" ("დაზღვეულს") მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება;
- 5.2.4. "სადაზღვევო შემთხვევის" დადგომისას, "დაზღვეულის" მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ გასცეს "სადაზღვევო ანაზღაურება", "დაზღვევის პირობების" შესაბამისად;
- 5.2.5. არ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად ვადაზე ადრე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 5.2.6. ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

5.3. "დამზღვევი" ვალდებულია:

- 5.3.1. გადაიხადოს "სადაზღვევო პრემია" წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;
- 5.3.2. ხელი შეუწყოს "მზღვეველს" "სადაზღვევო შემთხვევის" დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში;
- 5.3.3. გადაუხადოს "მზღვეველს" "დაზღვეული" პირის წლიური "სადაზღვევო პრემია" სრულად, მიუხედავად იმისა აგრძელებს თუ არა "დაზღვეული" პირი მასთან მუშაობას, იმ შემთხვევაში, თუ "დაზღვეულმა" პირმა, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მიიღო მისი წილი წლიური პრემიის ოდენობაზე მეტი ღირებულების "სადაზღვევო ანაზღაურება".
- 5.3.4. დაუყოვნებლივ აცნობოს "მზღვეველს" დაზღვეულთა სიაში არსებული ცვლილებების შესახებ.
- 5.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს "მზღვეველს" იმ პირის ვინაობა, რომელიც იგივე ინტერესს რამოდენიმე მზღვეველთან დააზღვევს;
- 5.3.6. უზრუნველყოს "დაზღვეულებისათვის" თანდართული "დაზღვევის პირობების" (დანართი №2) გაცნობა.
- 5.3.7. ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.
- 5.3.8. მიაწოდოს "მზღვეველს" ყველა დაზღვეულის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლები.

5.4. "დამზღვევი" უფლებამოსილია:

- 5.4.1. მოსთხოვოს მზღვეველს, განახორციელოს დაზღვევა "დაზღვევის პირობების" შესაბამისად;
- 5.4.2. გაეცნოს მზღვეველის მიერ წარმოდგენილ "დაზღვევის პირობებს";
- 5.4.3. მოსთხოვოს "მზღვეველს" დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის – "სადაზღვევო ბარათის" "დაზღვეულებისათვის" გადაცემა;
- 5.4.4. მოსთხოვოს "მზღვეველს" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

## 6. განსაკუთრებული პირობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით, “დაზღვევის პირობები” თითოეულ “დაზღვეულზე” გავრცელდება (“დაზღვეული” პირი ჩაითვლება დაზღვეულად), ან დაზღვეულთა სიიდან “დაზღვეული” ამოღებული იქნება “დამზღვევის” მიერ “მზღვეველისთვის” შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის დღის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან;

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულს აქვს ორმაგი დაზღვევა და ორივე სადაზღვევო პოლისი გაცემულია “მზღვეველის” მიერ და ამავდროულად ერთ-ერთი სადაზღვევო პოლისი არის სახელმწიფოს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით გათვალისწინებული, “დაზღვეულს უფლება აქვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მისი შეხედულებისამებრ აირჩიოს, რომელ პოლისს გამოიყენებს იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

## 7. მზღვეველის პასუხისმგებლობის სიდიდე

7.1. “მზღვეველი” პასუხისმგებელია “დაზღვეული” პირისათვის “დაზღვევის პირობებით” განსაზღვრული ზარალის ან/და მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე “სადაზღვევო ლიმიტის” ფარგლებში.

7.2. “სადაზღვევო ლიმიტი” განსაზღვრულია “სადაზღვევო ბარათში” ან/და “დაზღვევის პირობებში”.

7.3. “მზღვეველი” პასუხისმგებელია “დაზღვეულისათვის” “დაზღვევის პირობებით” განსაზღვრული “სადაზღვევო ანაზღაურების” გაცემაზე მხოლოდ დაზღვევის პერიოდის განმავლობაში მომხდარი “სადაზღვევო შემთხვევის” შესაბამისად.

7.4. “მზღვეველი” არ ანაზღაურებს “დაზღვევის პირობებით” განსაზღვრული ჩამონათვალისა და მოცულობის ზემოთ გაწეული მომსახურებისა ან/და დამდგარი “სადაზღვევო შემთხვევის” ხარჯებს.

## 8. რეგრესის უფლება

8.1. “სადაზღვევო ანაზღაურების” გაცემის შემდეგ “მზღვეველზე” გადადის რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც “დამზღვევს” (“დაზღვეულს”, “მოსარგებლეს”) გააჩნია “უბედური შემთხვევის” შედეგად მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.

8.2. “დამზღვევი” (“დაზღვეული”, “მოსარგებლე”) ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს “მზღვეველს” ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს “მზღვეველის” ამ მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზება.

8.3. “დამზღვევის” (“დაზღვეულის”, “მოსარგებლის”) მიერ ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში “მზღვეველს” უფლება აქვს უარი თქვას “სადაზღვევო ანაზღაურების” გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

## 9. დამზღვევისა და მზღვევლის ურთიერთობა ფორს-მაჟორულ პირობებში

9.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის შეთანხმებული, “მხარეები” თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში.

9.2. “მხარე”, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან ორ სამუშაო დღეში აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ. ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დამოწმდეს შესაბამისი ორგანოს მიერ.

9.3. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება და წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულების დაყოვნება “მხარ(ეებ)ის” ინტერესის დაკარგვას იწვევს, მაშინ “მხარეები” უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების შეჩერების, გაგრძელების, ან შეწყვეტის შესახებ.

## 10. დავის გადაჭრა. ზიანის ანაზღაურება

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მხარეთა“ შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყდება.

10.2. ბრალეულობის ფარგლებში, თითოეული “მხარე“ ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ხელშეკრულების მოშლა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს შემდეგი შემთხვევის დადგომისას:

11.1.1. “მხარის” ლიკვიდაცია;
11.1.2. “მხარეთა” შორის წერილობითი შეთანხმება;
11.1.3. ერთი “მხარის” ინიციატივით, მეორე “მხარის” მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, ხელშეკრულების მოშლამდე პირველმა “მხარემ” მეორე “მხარეს” ამის შესახებ უნდა შეატყობინოს წერილობით და ვალდებულების შესასრულებლად მისცეს დამატებითი ვადა (არანაკლებ 2 კვირისა). ამ საფუძვლით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში პირველ “მხარეს” შეიძლება წარმოეშვას მეორე “მხარისაგან” მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

## 12. კონფიდენციალობა

12.1. „მხარეები“ ვალდებულნი არიან, მეორე „მხარესთან“ წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე „მხარის“ შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.

## 13. დასკვნითი დებულებები

13.1. “მხარეთა“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება და თანხმობის მიწოდება ხდება წერილობით, ფაქსით ან დაზღვეული ფოსტით. თუ ეს მიზანშეუწონლად დამაყოვნებელია, მაშინ შეტყობინება ხდება ზეპირად, შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში წერილობითი დადასტურებით. „მხარე“, თავისი ბრალეულობის ფარგლებში, პასუხისმგებელია მეორე „მხარისათვის“ მიწოდებული ინფორმაციის (დოკუმენტაციის) სისწორეზე, სიზუსტესა და ლეგალურობაზე. თუ „მხარის“ მიერ მეორე „მხარისთვის“ მიწოდებული ინფორმაცია (დოკუმენტაცია) ამგვარი არ აღმოჩნდა, ეს „მხარის“ მიერ შესაბამისი ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება და მეორე „მხარეს“ უფლება წარმოეშვება, არ შეასრულოს თავისი შესაგებელი ვალდებულება.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები ან/და დამატებები „მხარეთა“ შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ამ ფორმის უზრუნველსაყოფად საკმარისია წერილების ურთიერთგაცვლაც, როდესაც ორივე „მხარე“ იდენტურ ნებას წერილობით ავლენს.

13.3. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება გაბათილდება, ეს მთელი ხელშეკრულების გაბათილებას არ გამოიწვევს. იგივე წესი იმოქმედებს, თუ დადგინდა მოწესრიგების ხარვეზი. ბათილი დებულების ნაცვლად ან/და ხარვეზის შესავსებად უნდა შეთანხმდეს „მხარეთათვის“ მისაღები პირობები ან იმოქმედებს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმა.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. თითო „მხარეს“ თითო ეგზემპლარი გადაეცემა.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

**სს ”სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია”**

საქართველო, თბილისი
ალ. ყაზბეგის 34.

საიდენტიფიკაციო კოდი: 204543869
საბანკო რეკვიზიტები:
სს “თიბისი ბანკი”.
საბანკო კოდი – TBCBGE22
ლარი: ა/ა GE11TB0617236080100003

ნიკოლოზ რამიშვილი
დირექტორი

______________________________

შპს „სარაგბო კლუბი ბათუმი“

საქართველო, ბათუმი
ლუკა ასათიანის 25.

საიდენტიფიკაციო კოდი: 445393495
საბანკო რეკვიზიტები
საბანკო კოდი: LBTRGE22
ლარი: GE40LB0113148314606000

თამაზ ფხაკაძე
დირექტორი

------------------------------